

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2019 წლის 23 იანვარი

ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 25-ე მუხლების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, 25/12/2018, 190020020.35.166.016421).

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №57 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, 27.12.2017 190020020.35.166.016354).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვანო ბერიძეშვილი

თავი I

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:
ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ბიუჯეტის გეგმა			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14,324.3	18,739.9	7,511.8	11,228.1	14841.7	1345.5	13496.2
გადასახადები	4,358.9	4,000.0	0.0	4,000.0	11709.0	0.0	11709.0
გრანტები	8,949.1	13,459.1	7,511.8	5,947.3	1983.0	1345.5	637.5
სხვა შემოსავლები	1,016.4	1,280.8	0.0	1,280.8	1149.6	0.0	1149.6



ხარჯები	8,427.4	10,691.3	55.5	10,635.8	11388.7	0.0	11388.7
შრომის ანაზღაურება	1,526.1	2,093.0	0.0	2,093.0	2288.7	0.0	2288.7
საქონელი და მომსახურება	1,077.8	1,672.4	55.5	1,616.9	1657.8	0.0	1657.8
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	150.2	170.5	0.0	170.5	42.9	0.0	42.9
სუბსიდიები	4,513.2	5,554.0	0.0	5,554.0	6165.1	0.0	6165.1
გრანტები	10.0	12.5	0.0	12.5	12.0	0.0	12.0
სოციალური უზრუნველყოფა	936.1	1,016.5	0.0	1,016.5	1040.2	0.0	1040.2
სხვა ხარჯები	214.0	172.4	0.0	172.4	182.0	0.0	182.0
საოპერაციო სალდო	5,897.0	8,048.6	7,456.3	592.3	3453.0	1345.5	2107.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,892.5	9,411.2	7,529.6	1,881.5	5751.1	2591.0	3160.1
ზრდა	5,355.9	10,011.2	7,529.6	2,481.5	6151.1	2591.0	3560.1
კლება	463.4	600.0	0.0	600.0	400.0	0.0	400.0
მთლიანი სალდო	1,004.5	-1,362.6	-73.3	-1,289.3	-2298.1	-1245.5	-1052.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	604.1	-1,813.2	-73.3	-1,739.9	-2755.1	-1245.5	-1509.6
ზრდა	615.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	615.4	0.0			0.0	0.0	
კლება	11.3	1,813.2	73.3	1,739.9	2755.1	1245.5	1509.6
ვალუტა და დეპოზიტები	11.3	1,348.2	73.3	1,274.9	2755.1	1245.5	1509.6
სესხები	0.0	465.0	0.0	465.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-400.4	-450.6	0.0	-450.6	-457.0	0.0	-457.0
კლება	400.4	450.6	0.0	450.6	457.0	0.0	457.0
საშინაო	400.4	450.6	0.0	450.6	457.0	0.0	457.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	14787,7	19,804.9	7,511.8	12,293.1	15241.7	1345.5	13896.2
შემოსავლები	14324,3	18,739.9	7,511.8	11,228.1	14841.7	1345.5	13496.2
არაფინანსური აქტივების კლება	463,4	600.0	0.0	600.0	400.0	0.000	400.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	465.0	0.0	465.0	0.0	0.000	0.0
გადასახდელები	14183,6	21,153.1	7,585.1	13,568.0	17996.8	2591.0	15405.8
ხარჯები	8427,4	10,691.3	55.5	10,635.8	11,388.7	0.0	11388.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	5355,9	10,011.2	7,529.6	2,481.5	6151.1	2591.0	3560.1
ვალდებულებების კლება	400,4	450.6	0.0	450.6	457.0	0.0	457.0
ნაშთის ცვლილება	604,1	-1348.2	--73,3	-1274.9	-2755.1	-1245.5	-1509.6

მუხლი 3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმით შემოსავლები
განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14841.7 ათასი ლარით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
შემოსავლები:	14324,3	18739,9	7511,8	11228,1	14841.7	1345.5	13496.2
გადასახადები	4358,9	4000,0	0,0	4000,0	11709,0	0.0	11709,0
გრანტები	8949,1	13459,1	7511,8	5 947,3	1963.0	1345.5	637.5
სხვა შემოსავლები	1016,4	1088,8	0,0	1088,8	1149,6	0.0	1149,6



მუხლი 4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმით გადასახადები
განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გადასახადები 11709,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გადასახადები	4358,9	4000,0	11709,0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0,0	0,0	8609,0
საშემოსავლო გადასახადი	1257,0	1100,0	0,0
ქონების გადასახადი	3101,9	2900,0	3100,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1581,5	1800,0	2000,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	43,5	20,0	20,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	817,6	610,0	610,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	659,3	470,0	470,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0	0

მუხლი 5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმით გრანტები
განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გრანტები 1983.0 ათასი ლარით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გრანტები	8949,1	13459,1	1983.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5356,0	5787,3	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	637.5
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	3433,1	7511,8	1345.5
მ.შ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	426,8	0.0
მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	3433,1	6285,0	1345.5
სოფლის მხარდაჭერის პროგრამით	0.0	0.0	0.0



სხვა მიმდინარე ღონისძიებები - სტიქია	0.0	800,0	0.0
--------------------------------------	-----	-------	-----

მუხლი 6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმით სხვა შემოსავლები
განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 1149,6 ათასი ლარით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1016,4	1280,8	1149,6
შემოსავლები საკუთრებიდან	227,3	150,0	172,4
პროცენტი	66,0	60,0	70,0
რენტა	161,3	90,0	102,4
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	234,8	238,8	252,2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	191,7	198,8	202,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	43,1	40,0	50,2
ჯარიმები სანქციები და საურავები	479,0	600,0	625,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	75,2	292,0	100,0

მუხლი 7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმით ხარჯები
განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 11294,1 ათასი ლარით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
ხარჯები	8,427.4	10,691.3	55.5	10,635.8	11388.7	0.0	11388.7
შრომის ანაზღაურება	1,526.1	2,093.0	0.0	2,093.0	2288.7	0.0	2288.7
საქონელი და მომსახურება	1,077.8	1,672.4	55.5	1,616.9	1657.8	0.0	1657.8
პროცენტი	150.2	170.5	0.0	170.5	42.9	0.0	42.9
სუბსიდიები	4,513.2	5,554.0	0.0	5,554.0	6165.1	0.0	6165.1
გრანტები	10.0	12.5	0.0	12.5	12.0	0.0	12.0
სოციალური უზრუნველყოფა	936.1	1,016.5	0.0	1,016.5	1040.2	0.0	1040.2
სხვა ხარჯები	214.0	172.4	0.0	172.4	182.0	0.0	182.0



მუხლი 8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმით არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5751.1 ათასი ლარით.

ა) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6151.1 ათასი ლარით

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	118.7	170.6	2.2	168.4	384.0	0.0	384.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	57.5	60.0	0.0	60.0	74.1	0.0	74.1
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,111.2	9,571.8	7,482.8	2,088.9	4654.9	2591.0	2063.9
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	7.0	122.1	44.6	77.5	463.1	363.1	100.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	61.4	86.7	0.0	86.7	125.0	0.0	125.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0	0	0	0

ბ) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 400.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	463,4	600,0	400,0
ძირითადი აქტივები	275,0	400,0	200,0
არაწარმოებული აქტივები	188,4	200,0	200,0

მუხლი 9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების



ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ათას ლარებში

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ბიუჯეტის გეგმა				2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,423.6	3,165.8	2.2	3,163.6	3,438.6	0.0	3,438.6	
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,229.9	2,948.3	2.2	2,946.1	3,352.7	0.0	3,352.7	
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,229.9	2,858.3	2.2	2,856.1	3,302.7	0.0	3,302.7	
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	90.0	0.0	90.0	50.0	0.0	50.0	
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	150.2	170.5	0.0	170.5	42.9	0.0	42.9	
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	43.5	47.0	0.0	47.0	43.0	0.0	43.0	
702	თავდაცვა	111.1	139.0	0.0	139.0	146.2	0.0	146.2	
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	57.5	55.5	0.0	55.5	71.1	0.0	71.1	
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	57.5	55.5	0.0	55.5	71.1	0.0	71.1	
704	ეკონომიკური საქმიანობა	4,040.7	7,878.0	6,335.5	1,542.5	3,444.4	1,997.4	1,447.0	
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	121.9	72.5	55.5	17.0	92.0	0.0	92.0	
70421	სოფლის მეურნეობა	121.8	71.5	55.5	16.0	90.0	0.0	90.0	



70422	სატყეო მეურნეობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70423	მეთევზეობა და მონადირეობა	0.2	1.0	0.0	1.0	2.0	0.0	2.0
7043	სათბობი და ენერგეტიკა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	70.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	3,804.5	7,712.0	6,280.0	1,432.0	3,315.5	1,970.5	1,345.0
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,804.5	7,712.0	6,280.0	1,432.0	3,315.5	1,970.5	1,345.0
7046	კავშირგაბმულობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	44.2	93.5	0.0	93.5	36.9	26.9	10.0
705	გარემოს დაცვა	814.2	1,076.1	45.4	1,030.8	101.1	0.0	101.1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	653.8	839.2	0.0	839.2	0.0	0.0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	96.4	196.4	45.4	151.0	100.0	0.0	100.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	64.0	40.6	0.0	40.6	1.1	0.0	1.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,044.5	3,136.6	1,157.5	1,979.1	3,623.6	593.6	3,030.0
7061	ბინათმშენებლობა	2.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	698.9	1,012.3	0.0	1,012.3	1,980.0	0.0	1,980.0
7063	წყალმომარაგება	847.1	1,429.5	1,157.5	272.0	993.6	593.6	400.0
7064	გარე განათება	496.5	674.9	0.0	674.9	650.0	0.0	650.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	84.7	106.0	0.0	106.0	106.0	0.0	106.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	84.7	106.0	0.0	106.0	106.0	0.0	106.0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა							



7076	არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,167.7	1,814.2	0.0	1,814.2	2,058.0	0.0	2,058.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	365.0	560.9	0.0	560.9	625.0	0.0	625.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	703.3	1,086.8	0.0	1,086.8	1,273.0	0.0	1,273.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	83.5	76.5	0.0	76.5	65.0	0.0	65.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	15.9	90.0	0.0	90.0	95.0	0.0	95.0
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
709	განათლება	1,931.3	2,091.8	44.6	2,047.2	3,155.6	0.0	3,155.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,857.8	2,049.7	44.6	2,005.1	2,300.0	0.0	2,300.0
7092	ზოგადი განათლება	32.5	14.2	0.0	14.2	15.0	0.0	15.0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	32.5	14.2	0.0	14.2	15.0	0.0	15.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	41.0	27.9	0.0	27.9	840.6	0.0	840.6
710	სოციალური დაცვა	1,107.9	1,239.5	0.0	1,239.5	1,395.2	0.0	1,395.2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	35.7	0.0	35.7
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	35.7	0.0	35.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	171.8	195.0	0.0	195.0	300.0	0.0	300.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1.3	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	377.1	407.5	0.0	407.5	450.0	0.0	450.0
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	513.1	582.5	0.0	582.5	530.0	0.0	530.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	44.6	52.5	0.0	52.5	77.5	0.0	77.5



	სულ	13,783.2	20,702.5	7,585.1	13,117.4	17,539.8	2,591.0	14,948.8

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -2298.1 ათასი ლარით.

მუხლი 11. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -2755.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება -457,0 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმით სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 160,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) ააიკ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური 56,0 ათასი ლარი

ბ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 104,0 ათასი ლარი

თავი II

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროექტები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, გათვალისწინებულია წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდება კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამები:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (03 01)

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02)

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (03 02)

კეთილმოწყობის სამუშაოები (03 03)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების საუბნო გზების მოხრეშვა, მოასფალტება, ქალაქის ცენტრალური, ასევე შიდა გზების და კორპუსების ეზოების მოასფალტება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;



- სოფლის მოსახლეობისთვის საუბნო გზების გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული გზების რაოდენობა
- კმაყოფილი მოსახლეობა

ბ.ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 03 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია, ახალი ჭაბურღილების მოწყობა და არსებული ჭაბურღილების გაწმენდა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა

ბ.ბ) ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“ (პროგრამული კოდი 03 02 02 02)

ქვეპროექტის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება ქალაქის ტერიტორიიდან ყოველდღიურად და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან კვირაში ორჯერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები, ბაღები და მოედნები. თვეში ორჯერ დასუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური მაგისტრალის (55კმ) მიმდებარე ტერიტორია და მოხდება ქალაქ გურჯაანში ნონეშვილისა და წმინდის ქუჩების გადარეცხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 44სასაფლაოს გაწმენდა- მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესება და რეგულირება,
- მოვლილი და მოწესრიგებული გარე განათების ქსელი,
- ეკოლოგიური მდგომარეობისა და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- წყალმომარაგების შეფერხების შემცირება
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.
- კმაყოფილი მოსახლეობა

ბ.გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ახალი სანათების



მოწყობა და მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადის დაფარვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- განათებული ქალაქისა და სოფლის ქუჩების რაოდენობა.

ბ.დ.) საკანალიზაციო სისტემების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 04)

მუნიციპალიტეტში კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა, ქვეპროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება.

მოსალოდნელი შედეგი

- სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მილების, კოლექტორების და წვიმიან ჭეხილების რაოდენობა.

ბ.ვ.) ხევების რეაბილიტაციისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევების პრევენციული გაწმენდა-რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- საცხოვრებელი სახლების, სასოფლო - სამეურნეო სავარგულებისა და სოფლის გზების დატბორვის საშიშროების აღმოფხვრა;
- სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- უსაფრთხო, გაწმენდილი ხევების რაოდენობა.

ბ.ზ) თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აუქციონზე გასაყიდად გასატანი მიწებისა და ძირითადი ქონების შეფასება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი



- ადგილობრივი შემოსავლების გაზრდა;
- შეფასებული ქონება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- პასპორტირებული მიწების რაოდენობა

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 37 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც რეგისტრირებულია 2365 აღსაზრდელი. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდა და სკოლისათვის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი

- გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების რაოდენობა;
- კმაყოფილი მოსახლეობა

ბ) წარჩინებულ პირველკურსელთა და მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 04 06)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეთა განსაკუთრებითი მიღწევისთვის და სკოლადამთავრებული პირველკურსელი სტუდენტთა წახალისება, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე მიიღეს უმაღლესი ქულა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოზარდთა დაინტერესების ზრდა პირველობისკენ

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- კმაყოფილი მოსახლეობა

გ) საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დელეგირებული უფლებამოსილებით განხორციელდება სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოსწავლეთა გადაადგილების ხელშეწყობა



- სასწავლო პროცესისთვის კომფორტული გარემოს შექმნა

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- კმაყოფილი მოსახლეობა

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტული და კულტურული ობიექტების, სახელოვნებო სკოლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების ასევე სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

-სპორტის განვითარების ხელშეწყობა

-კულტურის განვითარების ხელშეწყობა

-ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჯადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ახალგაზრდობის ჩართულობა; ჩასატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და მათი ჩატარების ორგანიზება. სპატრაკიადები მოსწავლეთა შორის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- სპორტული ღონისძიებისა და სრულყოფილი სასპორტო_საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა;
- ახალგაზრდობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართულ მოზარდთა რაოდენობა;
- ჩატარებულ ღონისძიებების რაოდენობა.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 00)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „გურჯაანის სპორტული გაერთიანების“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. დაფინანსდება ჯადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), კრივის, რაგბის, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრენბურთის და კარატეს შემსწავლელი წრეები. ჩატარდება კომპლექსური სპარტაკიადები.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების განხორციელება, ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში



მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმა ბავშვებისა და მოზარდების.
- ახალგაზრდობის ფიზიკურად გაჯანსაღება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა.
- სპორტულ ტურნირებში პრიზიორების რაოდენობა

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების, თეატრების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები

ბ.ა) კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი აფინანსებს ააიპ „გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებას“ მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნის, პიროვნების შემოქმედებითი განვითარების, შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვის და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“. რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ფოლკლორის, ხელოვნების სხვა დარგების დაცვა და პოპულარიზაცია, მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და განვითარება.

მუნიციპალიტეტი აფინანსებს ააიპ „გურჯაანის საგანმანათლებლო და სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას“. სასწავლებელი მოიცავს შემდეგ დარგებს: საფორტეპიანო, ვიოლინო, მუზიცირება, სამხატვრო ხელოვნება. სახელოვნებო სასწავლებელი ამზადებს კადრებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. ასევე ფინანსდება ააიპ „მრავალჟამიერი I“ რომლის მიზანია ასწავლოს და შეინარჩუნოს ქართული ხალხური ფოლკლორული სიმღერები.

პროგრამის მიზანია მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება. კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურული ღონისძიებები: დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი, ღვინის ფესტივალი, საახალწლო ღონისძიება და სხვა ღკულტურული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული თვითშეგნების და კულტურული დონის ამაღლებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა და ხელის შეწყობა;
- მოსწავლეთა კულტურულ - საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- კულტურის სხვადასხვა დარგში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;



გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საშობაო მსვლელობა, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ახალგაზრდა ხელოვანთა და ცნობილ პოეტებთან შეხვედრები, გურჯაანის ახალგაზრდული დღეები, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? (საშემოდგომო სერია), ღია ცის ქვეშ წაკითხული პოეზია (თვითშემოქმედება), და სხვა მიმდინარე ღონისძიებები. ამ ღონისძიებების მიზანია ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

